

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 91-ე სხდომის ოქმი

2018 წლის 20 ივლისი

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო**

მონაწილეები:

#	ქსს წევრები/ალტერნატიები	
1	დავით სერგეენკო	ქსს-ს თავმჯდომარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
2	თამარ გაბუნია	ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე “უნივერსითი რისერჩ კო” (URC)
3	ამირან გამყრელიძე	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაცია
4	თენგიზ ცერცვაძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი

		<p>პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორი</p> <p>ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია - აივ გრანტი</p>
5	ზაზა ავალიანი	<p>ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი.</p> <p>ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია - ტბ გრანტი</p>
6	ხათუნა თოდაძე	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
7	კახა ხანდოლიშვილი	<p>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p> <p>სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი</p>
8	გურამ ამირიძე	ბ-ნი ლევან კაკავას, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის სახელით
9	თამარ სირბილაძე	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების დეპარტამენტის დირექტორი

10	რუსუდან კლიმაშვილი	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი საზოგადოებრივი ჯანმდაცვის პროგრამების კოორდინატორი
11	ცისანა შარტავა	საქართველოს საპატრიარქოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, არქიმანდრიტი ადამი- ვახტანგ ახალაძის ალტერნატიული წევრი
12	ზურაბ ვადაჭკორია	სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
13	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
14	კონსტანტინე ლაბარტყავა	ახალი ვექტორი გამგეობის თავმჯდომარე ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია - აივ გრანტი
15	იზოლეტა ბოდოკია	შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის დირექტორი ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია - აივ გრანტი

16	დავით კახაბერი	ძირითადი დაზარალებილი ჯგუფი, MSM თემი თანასწორობის მოძრაობა ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია - აივ გრანტი
17	ლაშა თვალაშვილი	სათემო ორგანიზაცია რეალური ხალხი რეალური ხედვა ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია - აივ გრანტი
18	ზაზა ქარჩხაძე	ახალი გზა ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია - აივ გრანტი
19	ნინო ქაჯაია	ქ-ნი ლელა წაქაძის, გამარჯვებულთა კლუბუს დამფუძნებლის ალექსანტიული წევრი
20	ნიკოლოზ მირზაშვილი	ყოფილი ტბ პაციენტი, პაციენტთა კავშირი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი
21	ნათია ლოლაძე	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი

#	მოწვეული პირები/დამკვირვებლები	
22	თამარ ზურაშვილი	პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტი
23	ნანა ნაბახტეველი	ადგილობრივი ფინანსური აგენტი (LFA)
24	გოჩა გაბომე	სათემო ორგანიზაცია „ბროწეული“, ძირითადი დაზარელებული ჯგუფი, MSM
25	ნინო ბოლქვაძე	სათემო ორგანიზაცია „ქალები თავისუფლებისთვის“, ძირითადი დაზარელებული ჯგუფი
26	ირმა ხონელიძე	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, დირექტორი
27	ნინო წერეთელი	თანადგომა
28	კონსტანტინე რუხაძე	სათემო ორგანიზაცია ახალი ვექტორი, GENPUD, ძირითადი დაზარელებული ჯგუფი ნიმ
29	ნინო ოსეფაიშვილი	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, გენერალური მდივანი
30	გიორგი მადრაძე	საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი
31	ქეთევან სტვილია	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, შიდსის

		პროგრამის მენეჯერი
32	გიორგი კუჭუხიძე	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი
33	ნანა რუხაძე	შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი, აივ-ინფიცირებულთა თემი
34	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრი
35	აკაკი აბუთიძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრი
36	ქეთევან ჩხატარაშვილი	კონსულტანტი
#	სამდივნო	
37	ირია გრძელიძე	აღმასრულებელი მდივანი
38	ნათია ხონელიძე	ადმინისტრაციული ასისტენტი

დღის წესრიგი

15:00 – 15:05	<p>სხდომის გახსნა/დღის წესრიგის დამტკიცება/საბჭოს 90-ე სხდომის ოქმის დამტკიცება</p> <p>ბ-ნი დავით სერგეენკო - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი</p>
15:05 – 15:10	<p>მიმართვა საბჭოს წევრებისადმი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დეკლარირების თხოვნით</p> <p>სამდივნო</p>
15:10 – 15:30	<p>2019-2022 წწ აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა</p> <p>15:10 – 15:20 - წარდგენა</p> <p>ქ-ნი ქეთევან ჩხატარაშვილი - კონსულტანტი</p> <p>15:20 – 15:30 - დისკუსია/გადაწყვეტილების მიღება/დამტკიცება</p>
15:30 – 15:50	<p>2019-2022 წწ ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმა</p> <p>15:30 – 15:40 - წარდგენა</p> <p>ქ-ნი თამარ გაბუნია - URC</p> <p>15:40 – 15:50 დისკუსია/გადაწყვეტილების მიღება/დამტკიცება</p>
15:50 – 16:10	<p>აივ-ის და ტუბერკულოზის პროგრამების ბიუჯეტის გაყოფა</p> <p>15:50 – 16:00 - წარდგენა/დასაბუთება</p> <p>ქ-ნი თამარ გაბუნია - URC</p> <p>16:00– 16:10 - დისკუსია/გადაწყვეტილების მიღება/დამტკიცება</p>

16:10 – 16:30	<p align="center">აივ-ის პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა</p> <p align="center">16:10 – 16:20 -წარდგენა</p> <p>ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი</p> <p>ქ-ნი ქეთევან სტილია - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის აივ პროგრამის მენეჯერი</p> <p align="center">16:20 – 16:30 - დისკუსია/გადაწყვეტილების მიღება/დამტკიცება</p>
16:30 – 16:50	<p align="center">ტუბერკულოზის პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა</p> <p align="center">16:30 – 16:40- წარდგენა</p> <p>ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი</p> <p>ბ-ნი გიორგი კუჭუხიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი</p> <p align="center">16:40 -16:50 - დისკუსია/გადაწყვეტილების მიღება/დამტკიცება</p>
16:50 – 17:00	<p align="center">ბ-ნი გიორგი მაღრაძის - ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოში გაწევრიანება</p> <p align="center">წარდგენა/განხილვა/კენჭისყრა</p> <p>ქ-ნი ირინა გრძელიძე - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი</p>
17:00– 17:05	<p align="center">მიმდინარე საკითხები/განცხადებები</p>

17:05	სხდომის დახურვა
-------	-----------------

აბრევიატურების სია

AIDS - Acquired Immune Deficiency Syndrome, შიდსი, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

CBO – Community Based Organization, სათემო ორგანიზაცია

CCM – Country Coordinating Mechanism, ქსს, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

CoI – Conflict of Interest, ინტერესთა კონფლიქტი

CSO - Civil Society Organization

EMTCT –Elimination of Mother to Child Transmission, დედიდან ბავშვზე ტრანსმისიის ელიმინაცია

HCV - Hepatitis C virus, C ჰეპატიტის ვირუსი

HIV - Human Immunodeficiency Virus, აივი, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

IDU – Injecting Drug User, ნიმ, ნარკოტიკის ინექციური მომხმარებელი

KAP – Key Affected Population, ძირითადი დაზარალებული ჯგუფი

MSM - Men who have Sex with Men

NCDCPH – National Center for Disease Control and Public Health, დკსჯეც, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NSP – National Strategic Plan, სტრატეგიის ეროვნული გეგმა

OC – Oversight Committee, საზედამხედველო კომიტეტი

PAAC – Policy and Advocacy Advisory Committee, პასკ-ი, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

PIU - Project Implementation Union, პროექტის განმახორციელებელი ერთეული

PLHIV - People living with HIV, აივ-ით დაავადებული პირები

PR – Principal Recipient, ძირითადი მიმღები

RSSH – Resilient and Sustainable Systems for Health, სტაბილური და მდგრადი ჯანდაცვის სისტემები

SR – Sub-recipient, ქვე-კონტრაქტორი

TB – Tuberculosis, ტუბერკულოზი

TGF - Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი

UNAIDS – The Joint United Nations Programme on HIV/AIDS, გაეროს აივ/შიდსის გაერთიანებული პროგრამა

USAID - United States Agency for International Development, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

VCT - voluntary counselling and testing, ნკტ, ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება

WHO - World Health Organization, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

დავით სერგეენკო – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა მოახსენა მობრძანებისთვის. ბ-ნმა სერგეენკომ მიმართა აუდიტორიას თხოვნით, გაეკეთებინათ განცხადებები ან წამოეყენებინათ სამსჯელოდ დღის წესრიგის მიღმა მყოფი საკითხები. თავმჯდომარემ მიმართა აუდიტორიას თხოვნით არსებობის შემთხვევაში განეცხადებინათ ინტერესთა კონფლიქტის არსებობა და შეევესოთ ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმა.

ინტერესთა კონფლიქტი დააფიქსირა ქ-ნმა თამარ გაბუნიაშვილმა ტუბერკულოზის სტრატეგიული გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ სტრატეგია მომზადდა URC-ის მიერ.

ქეთევან ჩხატარაშვილი - წარუდგინა საზოგადოებას აივ/შიდსის სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსია. სტრატეგიის დოკუმენტი, შემუშავების ყველა ეტაპზე, არაერთგზის გაზიარებულ და განხილულ იქნა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის, ქსს-სა და ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები, ძირითადი

დაზარალებული მოსახლეობა. ქნმა ქეთევანმა ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი და საერთაშორისო კოლეგების, გლობალური ფონდის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხრიდან შემოსულ ძირითად კომენტარებზე. კომენტარების ჯგუფი ეხებოდა დოკუმენტის ფორმატის ცვლილებას, მიღწევების სათანადო ასახვის მიზნით. კომენტარების გათვალისწინებით, C ჰეპატიტის, დედიდან ბავშვზე ტრანსმისიის ელიმინაციის (EMTCT), უსაფრთხო სისხლის სტრატეგიები უფრო დეტალურად იქნა წარმოდგენილი დოკუმენტში. ახალგაზრდების საჭიროებების მხარდაჭერის, ტრანსგენდერი მოსახლეობის პრობლემების და ზომის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის შეგროვების საჭიროების შესახებ ადგილობრივი კოლეგების კომენტარის გათვალისწინებით სტრატეგიაში შესულია შესაბამისი შესწორება. გლობალური ფონდის და ჯანმოს კომენტარების გათვალისწინებით 90-90-90 სტრატეგიის სამიზნეების მიღწევის ვადად დაისახა 2020 წელი ნაცვლად პირვანდელი 2022 წლისა. წინა სტრატეგიის სამიზნეებთან შედარებით აივ პრევენციის პროგრამის სამიზნეების შემცირებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კომენტარზე საპასუხოდ, ქნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ წინა სტრატეგიაში სამიზნეები იყო უფრო მაღალი, თუმცა კუმულაციური და არა ყოველწლიური. ამრიგად, ახალ სტრატეგიაში დასახულია უფრო მაღალი ყოველწლიური სამიზნეები, რომელიც ავტომატურად მიგვიყვანს უფრო მაღალ 3-წლიან კუმულაციურ შედეგებთან. მან ასევე აღნიშნა, რომ გაეროს აივ/შიდსის გაერთიანებული პროგრამის (UNAIDS) ინდიკატორების განახლებულ სიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს დაემატა მოცვის ყოველწლიური ინდიკატორი, რომელიც კვარტალური ანგარიშგების შესაძლებლობას იძლევა. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მიმწოდებლის მიერ ინიცირებული ტესტირების გაფართოება არ წარმოადგენს არსებული სტრატეგიული მიდგომის ცვლილებას, რადგანაც გლობალური ფონდის მიმდინარე გრანტის ფარგლებში ხდება პილოტირება. გლობალურმა ფონდმა ახლახან დაამტკიცა რეპროგრამირების აქტივობები მიმდინარე გრანტის ფარგლებში. ადგილობრივი პარტნიორებისგან მიღებულ იქნა კომენტარები ახალგაზრდების და ტრანსგენდერი მოსახლეობის ცალკე რის-ჯუფად გამოყოფის თაობაზე. სამუშაო პროცესის მსვლელობისას შეთანხმდა, რომ ახალგაზრდები არ იქნებიან გამოყოფილი ცალკე რისკ-ჯგუფებად, ხოლო მათი საჭიროებები, როგორც ქვე-ჯგუფებისა სათანადოდ იქნება გათვალისწინებული ქვეყნის მიერ აღიარებულ ყველა რისკ-ჯგუფში. აღინიშნა, რომ ტრანსგენდერი მოსახლეობის თაობაზე კომენტარი მოწოდებული იყო საკმაოდ გვიან, კომენტარების განსაზღვრული საბოლოო ვადის გადაცილებით, სტრატეგიის შემუშავების საბოლოო ეტაპზე. რადგანაც არ არსებობს აღნიშნული ჯგუფის ზომის

განსაზღვრა, სახეზეა ცოდნის სიმწირე გეოგრაფიული განაწილების (mapping) და საჭიროებების შესახებ, გადაწყდა, რომ ტრანსგენდერი პოპულაცია კვლავ MSM პოპულაციასთან ერთად განისაზღვრება, გრანტის განხორციელებისას ამ ჯგუფის საჭიროებების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების ხაზგასმით.

დავით სეგრენკო - მაღლობა მოახსენა მომხსენებელს და გახსნა დისკუსია.

განხილვის დროს ძირითადი ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: 90-90-90 სტრატეგიასთან თანხვედრა, მოცვის ინდიკატორები, 90-90-90 სტრატეგიის სამიზნეების მიღწევის შესაძლებლობები, C ჰეპატიტის და აივ ტესტირების ინტეგრირება. პროფესორმა თენგიზ ცერცვაძემ გამოთქვა შეშფოთება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ რისკ-ჯგუფებში აივ-ტესტირებით მოცვის სამიზნე 90%-ზე დაბალია. ქ-ნმა ჩხატარაშვილმა განაცხადა, რომ სამიზნეები გაცილებით მაღალია 2017 წლის ბაზისურ მონაცემებთან შედარებით, რთული იქნება მათი მოცვა, რისკ-ჯგუფების ნკტ მოცვის 90% სამიზნის მიღწევა არ იქნება შესაძლებელი, განსაკუთრებით თუ ვერ მოხერხდა ნარკო-პოლიტიკის შეცვლა და LGBT თემთან დაკავშირებულ სტიგმის შემცირება. ქ-ნმა სტვილიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მოსახლეობის დიდი მოცულობით აივ და C ჰეპატიტზე ინტეგრირებული სკრინინგი ჰოსპიტალებსა და ამბულატორიებში დააბალანსებს რისკ-ჯგუფებისთვის დასახულ 90%-ზე ნაკლებ სამიზნეს, რადგანაც რისკ-ჯგუფები ასევე იქნებიან სამედიცინო დაწესებულებებში ტესტირებულ მოსახლეობის ნაწილი.

საბჭო დაეთანხმა სტრატეგიის სამიზნეებს და კომენტარების გათვალისწინების საფუძველზე შეტანილ ცვლილებებს.

დავით კახაბერი - მაღლობა მოახსენა ქ-ნ ჩხატარაშვილს კომენტარების შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებისთვის. თუმცა გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ სტრატეგია არ ითვალისწინებს ტრანსგენდერი მოსახლების BSS, პოპულაციის ზომის განმსაზღვრელ კვლევას, ამ ჯგუფის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემების გათვალისწინებით და ერთი დღის წინ აივ-ინფიცირებული ტრანსგენდერი პირის გარდაცვალებიდან გამომდინარე, თემის მორალური პასუხისმგებლობა არ იძლევა სტრატეგიის წარმოდგენილი ფორმით მხარდაჭერის შესაძლებლობას.

კონსტანტინე ლაბარტყავა - ხაზი გაუსვა ჰეპატიტის და აივ-ინფექციის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლების მოცვის მნიშვნელობას.

დავით სერგეენკო - სიტყვა გადასცა ქ-ნ თამარ გაბუნიას.

თამარ გაბუნიას (ონ-ლაინ ფორმატში) - წარუდგინა საზოგადოებას ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსია. სტრატეგიის დოკუმენტი, შემუშავების ყველა ეტაპზე, არაერთგზის გაზიარებულ და განხილულ იქნა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის, ქსს-სა და ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები, ძირითადი დაზარალებული მოსახლეობა, პაციენტები. ქ-ნმა თამარმა ყურადღება გაამახვილა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კომენტარებზე და დოკუმენტში შეტანილ შესაბამის ცვლილებებზე.

სტრატეგიაში აისახა 2015 წლის ბაზისური მაჩვენებლები ძირითადი ინდიკატორებისთვის, რათა თვალსაჩინო იყოს პროგრესი გლობალური END TB სტრატეგიის მიზნებთან მიმართებაში. გადაიხედა ფინანსური დეფიციტი ტბ ლაბორატორიებსა და სამედიცინო დაწესებულებების პერსონალისთვის ხელფასის სასურველი დონის უფრო რეალისტური გათვლისთვის. ამჟამინდელი საშუალო ხელფასის (507 ლარი -2017 წ) და სამედიცინო სექტორში საშუალო ხელფასის გათვალისწინებით შემოთავაზებულია 2014 წლის ბაზისურ მონაცემებთან შედარებით 45% მატება ტბ სამედიცინო პერსონალისთვის და 30% მატება ლაბორატორიის პერსონალისთვის. წარმოდგენილ სტრატეგიაში ფინანსური საჭიროება შეადგენს 47.2 მილიონ აშშ დოლარს აქედან 13% არის დეფიციტი, რომელიც შიდა რესურსებით უნდა აღმოიფხვრას.

დისკუსია წარიმართა ძირითადად შემდეგი საკითხების გარშემო: ფტიზიატრების ხელფასი, ტბ სფეროში მომუშავე პერსონალის ასაკი. აღინიშნა, რომ საქართველოს სერტიფიცირებულ ექიმთა ასაკობრივ/სქესობრივი გრადაციის კვლევამ არ გამოავლინა ფტიზიატრები, როგორც ყველაზე „დაბერებადი“ სპეციალობა. თუმცა აღნიშნული კვლავ პრობლემად რჩება. აგრეთვე ფტიზიატრების ანაზღაურება არ არის ყველაზე დაბალი ქვეყანაში. ცალსახად აღინიშნა, რომ ხელფასის მატება წარმოადგენს სფეროს განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კომპონენტი სტრატეგიის ნაწილია, უნდა აღნიშნოს ის გარემოებაც, რომ სერვისის მიმწოდებლების მნიშვნელოვანი წილი წარმოადგენენ კერძო სექტორს და თავად განსაზღვრავენ სახელფასო პოლიტიკას.

თამარ სირბილაძე – დაამატა, რომ ტბ სპეციალისტების ხელფასის ზრდა მნიშვნელოვანია, რადგანაც ფტიზიატრია იმ მცირე სპეციალობების რიცხვში შედის რომელიც ასაკობრივ ფაქტორიდან გამომდინარე დიდი რისკის ქვეშ იმყოფება. რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზის პრევენციის

პროექტის განხორციელებისას იგი მრავალ ფტიზიატრს ხვდებოდა და ყველა მათგანის ასაკი 60 წელს აღემატებოდა. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ ხელფასის მატება გაზრდის ახალგაზრდა სპეციალისტების ინტერესს.

ზაზა ავალიანი - განაცხადა, რომ სახელფასო პრობლემა ეხება რეგიონის ექიმებს, რომლებიც კერძო პროვაიდერების შტატში ირიცხებიან და სახელმწიფოს რეალური მექანიზმი მათი ხელფასის გაზრდისა არ გააჩნია. ისიც მნიშვნელოვანია, რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ერთად ხორციელდება ახალგაზრდა კადრების მოზიდვის პროგრამა და უკვე 14 რეზიდენტი გაივლის სრულ სარეზიდენტო კურსს ცენტრის ბაზაზე. რეზიდენტების რიცხვი გაიზრდება 2018-2019 აკადემიური წლისათვის.

დავით სერგეენკო - სიტყვა გადასცა ქ-ნ თამარ გაბუნიას პროგრამებს შორის თანხების განაწილების დასაბუთების წარსადგენად.

თამარ გაბუნია – წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას აივ-ის და ტუბერკულოზის პროგრამების ბიუჯეტის გაყოფის გარშემო გამართული განხილვების პროცესი, რომელიც მოიცავდა ფართომასშტაბიან კონსულტაციებს აივ და ტბ სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის სათემო ორგანიზაციებთან, ძირითად მოწყვლად ჯგუფებთან და პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტთან საბოლოო შეთანხმებას. ქალბატონმა გაბუნიამ წარუდგინა აუდიტორიას გლობალური ფონდის მოცემული წინასწარი განაწილება. რის შემდეგ წარდგენილ იქნა გადახედილი გადანაწილების დასაბუთება. წარდგენილ იქნა და გაანალიზდა შემდეგი ასპექტები: გლობალური ფონდის დაფინანსების აბსორბცია, წინა და მიმდინარე გრანტების ფარგლებში წამყვანი მხარეების, აივ და ტბ ეროვნული პროგრამების შესაძლებლობები და ტენდენციები, მთავრობის თანადაფინანსების ვალდებულება და 2019-2022 წწ სახელმწიფო მხრიდან მოსალოდნელი კონტრიბუცია, 2019-2022 წწ აივ და ტბ პროგრამების მოსალოდნელი ფინანსური საჭიროებები, გლობალური ფონდის აივ და ტბ პროგრამების უტილიზაციის მაჩვენებლები.

ორივე პროგრამის დაფინანსების საჭიროებების, ზემოთ წარმოდგენილი ასპექტების დეტალური შეფასების და ანალიზის, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტთან, სამოქალაქო სექტორთან, მათ შორის ძირითად მოწყვლად ჯგუფების თემის წარმომადგენლებთან კონსულტაციებსა და საბოლოო შეთანხმებაზე დაყრდნობით შემოთავაზებულ იქნა შემდეგი გადანაწილება.

პროგრამებს შორის თანხების საწყისი განაწილება	შესწორებული ვერსია	თანხა რომლის რეალოკაციაც უნდა მოხდეს ტბ პროგრამიდან აივ პროგრამაზე	
აივ	\$8,412,986.00	\$9,348,442.47	
ტბ	\$7,175,076.00	\$6,239,619.53	\$935,456.47
	\$15,588,062.00		
აივ	54%	HIV	60%
ტბ	46%	TB	40%

დავით სერგენკო – გახსნა დისკუსია.

არ გამოთქმულა დამატებითი კომენტარი/საწინააღმდეგო მოსაზრება.

დავით სერგენკო – სიტყვა გადასცა **ქ-ნ ირმა ხონელიძეს** აივ და ტბ პროგრამების გაგრძელების თვით-შეფასების წარსადგენად.

ირმა ხონელიძე – წარუდგინა აუდიტორიას ქსს-ს და ყველა დაინტერესებულ მხარეებთან არაერთხელ განხილული ალოკაციის წერილის ძირითადი ასპექტები. წარდგენილ იქნა პროგრამის გაგრძელების მოთხოვნის დოკუმენტის სტრუქტურა, აივ პროგრამის გაგრძელების მოთხოვნის თვით-შეფასების ნაწილი, დანართი 1. აივ პროგრამის გაგრძელების მოთხოვნის დოკუმენტი ცალკე იქნა განხილული აივ სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის ძირითად მოწყვლად ჯგუფებთან, კომენტარების მიღების მიზნით გაზიარდა მათთან ელექტრონულად, წარდგენილ იქნა და შეთანხმდა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, გაზიარდა ჯანმოს ექსპერტებთან და ქსს-სთან. ქ-ნმა ხონელიძემ მიმართა აუდიტორიას თხოვნით გამოეთქვათ დამატებითი მოსაზრებები.

ქეთევან სტვილია - მიმართა ბ-ნ დავით კახაბერს და აღნიშნა, რომ LGBT თემის წუხილი გათვალისწინებულ იქნა ეროვნული სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის მიერ და ტრანსგენდერი მოსახლეობის ზომის განსაზღვრის და BSS კვლევა დაბიუჯეტებულია ეროვნული სტრატეგიული გეგმის ფარგლებში.

არ გამოთქმულა დამატებითი კომენტარი/საწინააღმდეგო მოსაზრება.

დავით სერგენკო – სიტყვა გადასცა **ქ-ნ ირმა ხონელიძეს**

ირმა ხონელიძე – განაცხადა, რომ იდენტური პროცედურა განხორციელდა ტბ პროგრამის გაგრძელების მოთხოვნასთან მიმართებაში. მან შეახსენა აუდიტორიას, რომ წარდგენის საბოლოო ვადაა 2018 წლის 6 აგვისტო. პროგრამების გაგრძელების მოთხოვნებს თან უნდა ახლდეს აივ და ტბ ეროვნული სტრატეგიული გეგმები.

არ გამოთქმულა დამატებითი კომენტარი/საწინააღმდეგო მოსაზრება.

დავით სერგეენკო – სიტყვა გადასცა **ქ-ნ ირინა გრძელიძეს** ქსს-ს წევრობის კანდიდატის წარსადგენად.

ირინა გრძელიძე– განაცხადა რომ ტბ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის ქსს-ში გაწევრიანების განცხადების საპასუხოდ ტბ კოალიციის მიერ წარმოდგენილია ბ-ნი გიორგი მაღრაძის - ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი, კანდიდატურა. სრული სააპლოკაციო პაკეტი, მათ შორის „check-list“ მიეწოდა ქსს-ს. მან მიმართა ბ-ნ მაღრაძეს თხოვნით წარედგინა საკუთარი თავის ქსს-ს წევრებისთვის.

გიორგი მაღრაძე – წარუდგინა საზოგადოებას საკუთარი პროფესიონალური გამოცდილება, ისაუბრა ქსს-ს საქმიანობის ჩართვაში ინტერესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდის აქტივობების შესახებ.

ბ-ნი გიორგი მაღრაძე, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი ერთხმად არჩეული იქნა ქსს-ს წევრად.

თავმჯდომარემ მიმართა წევრებს დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირების გადაწყვეტილების მიღების თხოვნით და დააყენა კენჭისყრაზე შემდეგი დოკუმენტების მიღების საკითხი:

2019-2022 წწ აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (ერთი ხმა -ბ-ნი დავით კახაბერი - წინააღმდეგ);

ერთხმად დამტკიცდა 2019-2022 წწ ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმა;

ერთხმად დამტკიცდა 2017-2019 წლების ალოკაციის პერიოდის პროგრამებს შორის თანხების გაყოფის შესწორებული ვერსია;

ქსს დაეთანხმა აივ-ის და ტუბერკულოზის პროგრამების გაგრძელების მოთხოვნის დოკუმენტის შინაარსს.

ირინა გრძელიძე - განაცხადა, რომ ქსს-ს სამოქალაქო სექტორმა განიხილა და შეთანხმდა პროგრამების გაგრძელების მოთხოვნის დოკუმენტების შემდეგ ხელმომწერებზე.

აივ პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა - ქსს-ს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი - ბ-ნი ზაზა ქარჩხაძე, ძირითადი მოწყვლადი მოსახლეობის წარმომადგენელი - ბ-ნი დავით კახაბერი.

ტბ პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა: ქსს-ს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი – ქ-ნი ნათია ლოლაძე, ძირითადი მოწყვლადი მოსახლების წარმომადგენელი - ბ-ნი ნიკოლოზ მირზაშვილი.

პროგრამების შორის თანხის განაწილების ცვლილების დამადასტურებელი წერილი - ბ-ნი ლაშა თვალაშვილი.

ქ-ნმა ირინა გრძელიძემ განაცხადა, რომ სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ქ-ნ სოფიო მორგოშიას შეუწყდა სასჯელალსრულების მინისტრის მრჩეველის უფლებამოსილება და შესაბამისად ქსს-ს წევრობა. დადგენილი პროცედურის თანახმად მოხდება იუსტიციის მინისტრთან წერილობითი მიმართვა საბჭოს წევრობის კანდიდატურის დასახელების თხოვნით.

დავით სერგეენკო - მაღლობა მოახსენა აუდიტორიას დასწრებისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გადაწყვეტილებები:

- ბ-ნი გიორგი მალრაძე, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი იქნა არჩეული ქსს-ს წევრად;
- დამტკიცდა 2019-2022 წწ აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა;
- დამტკიცდა 2019-2022 წწ ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმა;
- დამტკიცდა გლობალური ფონდის 2017-2019 წლების ალოკაციის პერიოდისათვის აივ და ტუბერკულოზის პროგრამებს შორის თანხების განაწილების შესწორებული ვერსია;
- შეთანხმდა აივ და ტუბერკულოზის გაგრძელების მოთხოვნების დოკუმენტების შინაარსი.

დავით სერგეენკო

ქსს-ს თავმჯდომარე

ნათია ხონელიძე

ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი